# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04151

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

**სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე პროფესორების მოწვევის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზურაბ წვერაიძის 2018 წლის 9 მარტის №01-09-33/707 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზურაბ წვერაიძის შუამდგომლობა და ამავე ფაკულტეტზე მოწვეულ იქნენ ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის – „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში“ მომზადებაში მონაწილეობისათვის ნიკო ცუცქირიძე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 200-საათიანი დატვირთვით და არჩილ სურმავა ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 200-საათიანი დატვირთვით 2018 წლის 6 ოქტომბრამდე და აღნიშნული საათები ჩაეთვალოთ აკადემიურ დატვირთვაში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**